ახალი ხარაგაული

379 (10) 28 მაისი, 2018 წ.

ხარაგაულში პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლის იუბილე იზეიმეს

საქართველოს დამოუკიდებლობისა და პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების 100 წლის იუბილე ხარაგაულში საზეიმო ვითარებაში აღინიშნა. 26 მაისის საიუბილეო ღონისძიებებს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე მოადგილეებთან, საკრებულოს დეპუტატებთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო.

ისტორიულ მუზეუმში გამართულ ღონისძიებაზე ახალგაზრდებმა მოკლედ მიმოიხილეს 1918 წელს განვითარებული მოვლენები და პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების ისტორია საინტერესო ქრონიკებით წარმოადგინეს.

კულტურის ცენტრის ორგანიზებით, მრავალფეროვანი კონცერტი მოეწყო კინოთეატრში, სადაც პატრიოტულ თემებზე შექმნილი ლექსები წაიკითხეს ირინე ჩხეიძემ და ბათუ კიკნაძემ. ქორეოგრაფიული ნომრები წარმოადგინა ანსამბლმა ,,უბისმა“. სიმღერები შეასრულეს თიკო ჯანიაშვილმა და კულტურის ცენტრთან არსებულმა ვაჟთა ვოკალურმა ანსამბლმა.

26 მაისი საყურადღებოა იმითაც, რომ ამ დღეს დაიბადა ეროვნული გმირი მერაბ კოსტავა, რაც სიმბოლურია. აქედან გამომდინარე, საზეიმო თარიღი თავისუფლებისათვის თავგანწირული მებრძოლის გარდაცვალების ადგილას, სოფელ ბორითშიც, აღინიშნა. ნიკოლოზ თოფურიძემ, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად მერაბ კოსტავას მემორიალი გვირგვინით შეამკო. ხარაგაულის მერმა კიდევ ერთხელ გაიხსენა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში შეტანილი მერაბ კოსტავას უდიდესი წვლილი და ხაზგასმით აღნიშნა, რომ 26 მაისი ჩვენი ქვეყნისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, ამაღლებული და საამაყო დღეა.

ნიკოლოზ თოფურიძემ აღმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებთან მნიშვნელოვან საკითხებზე იმსჯელა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ მერის ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებთან სამუშაო თათბირი გამართა. თოფურიძემ გასული ერთი კვირის განმავლობაში გაწეული საქმიანობა შეაჯამა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა. მოისმინა ასევე ინფორმაცია მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტებისა და სოფლებში არსებული პრობლემების შესახებ. გარდა ამისა, მერმა ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის საავტომობილო გზის რეაბილიტაციაზეც გაამახვილა ყურადღება. მისივე ინფორმაციით, მოლითი-ფონა ჩუმათელეთის 26 კმ-იანი (მეორე ლოტი) მონაკვეთის რეაბილიტაციის მიზნით, საავტომობილო გზების დეპარტამენტმა ტენდერში გამარჯვებული კომპანია გამოავლინა. რაც შეეხება ძირულა-ხარაგაული-მოლითის მონაკვეთს, ნიკოლოზ თოფურიძის თქმით, სამუშაოები ივნისიდან დაიწყება. როგორც ხარაგაულის მერი აღნიშნავს, ამ გზის რეაბილიტაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს რეგიონის სოციალ-ეკონომიკური განვითარებისათვის. ,,მშენებლობაზე ადგილობრივები დასაქმდებიან. ყოველივე ეს კი მოსახლეობას დამატებით შემოსავლებს გაუჩენს. სულ მალე საუკეთესო გზა გვექნება. ფაქტობრივად, გამოცოცხლდება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლები და გაუმჯობესდება სავაჭრო და ტურისტულ ობიექტებთან კავშირი,“ - განმარტა თოფურიძემ.

შეგახსენებთ, რომ ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია ძირითადად უკვე არსებული გზის ფარგლებში განხორციელდება და მოიცავს ასფალტის საფარის დაგებას, ხიდების რეკონსტრუქციას, გზის სადრენაჟე მილების გარემონტებას. გზის 50 კმ-იანი მონაკვეთი ორზოლიანი იქნება, თითო ზოლის სიგანე 3 მ, ხოლო სავალი ნაწილის 6 მ. სამშენებლო სამუშაოებს აზიის განვითარების ბანკი აფინანსებს.

ნიკოლოზ თოფურიძემ თათბირზე ასევე ყურადღება გაამახვილა მოქალაქეებისთვის ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაცემის წესზე და ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლებს შეჩერების მიზეზებზე ესაუბრა. მერის ინფორმაციით, იმდენად დიდია მოსახლეობის მოთხოვნა ოპერაციების დაფინანსებაზე, რომ ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს ერთჯერადი დახმარებების გასაცემად სახსრები არ გააჩნია. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიაში მოქმედი სოციალური პროგრამების ფარგლებში მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ, ისარგებლონ სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებით. კერძოდ, სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს ხარჯის 70% უფინანსდება, სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში არარეგისტრირებულ პირებს კი - 50%. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური მიმართულებით 349 700 ლარი გაიცა.

ვერტყვიჭალის საჯარო სკოლაში დამოუკიდებლობის ასი წლის იუბილე მრავალფეროვნად აღინიშნა

ვერტყვიჭალის საჯარო სკოლაში საქართველოს დამოუკიდებლობის ასი წლის იუბილე საზეიმო ღონისძიებითა და სხვადასხვა აქტივობით აღინიშნა. ღონისძიებას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, არჩილ მაღრაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე რუსუდან გიორგაძე, საკრებულოს დეპუტატები, საგანმანათლებლო რესურსცენტრისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები დაესწრნენ.

ისტორიის პედაგოგმა თემურ ბლუაშვილმა დამსწრე საზოგადოებას საუკუნის წინ მომხდარი მოვლენები კიდევ ერთხელ შეახსენა და მცირე ისტორიული ექსკურსი გააკეთა. გარდა ამისა, სტუმრები თემურ ბლუაშვილის მიერ მომზადებულ გაზეთ-„თვალსაწიერს“ გაეცნენ, რომელიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის 785 დღეს მიეძღვნა.

ღონისძიება საკმაოდ შთამბეჭდავად წარიმართა. სკოლის მოსწავლეებმა ქართული მელოდიებით მოხიბლეს სტუმრები, მაღალი დეკლამაციური ჟღერადობით წარმოთქვეს პატრიოტულ თემებზე შექმნილი პოეტური შედევრები.

დარბაზში შეკრებილებს სიტყვით მიმართა და საქართველოს დამოუკიდებლობის ასი წლის იუბილე მიულოცა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ არჩილ მაღრაძემ.

,,26 მაისი საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დღეა. ეს არის დღე, რომელიც თითოეული ქართველის გულს სიამაყით აღავსებს. ვისურვებდი, რომ მალე ჩვენი ქვეყანა გაერთიანებული და გაბრწყინებული გვეხილოს.“ - აღნიშნა ბატონმა არჩილმა.

ამავე დღეს განათლების პროფკავშირის ხარაგაულის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, ლალი ვაქერ-სებისკვერაძემ სამადლობელი სიგელით დააჯილდოვა ქალბატონი ლენა აბაშიძე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლას საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ქალბატონმა რუსუდან გიორგაძემ საჩუქრად პიანინო გადასცა. გარდა ამისა, სკოლაში არსებულ საქართველოს კათოლიკოს - პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის ქრისტეფორე III-ის სახელობის მუზეუმს უახლოეს მომავალში ჯვარს უსახსოვრებს. როგორც ქალბატონმა რუსუდანმა დაანონსა, სკოლას კამერტონსაც შეუძენს.

აღსანიშნავია, რომ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლა მუნიციპალიტეტის მასშტაბით ერთ-ერთი გამორჩეული და წარმატებულია. საგანმანათლებლო დაწესებულება აქტიურადაა ჩართული სხვადასხვა პროექტში. სკოლას ნამდვილად ბევრი რამ აქვს საამაყო - ისტორია, ტრადიციები. რაც მთავარია და უმნიშვნელოვანესია, სკოლის დირექტორი ქალბატონი ლენა აბაშიძე, თავდადებული წინამძღოლია და საიმედო გზებით წარმართავს სკოლის მომავალს.

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

ვისურვებდი, რაც შეიძლება მეტი ადამიანი დაუბრუნდეს სოფელს...

რამდენიმე თვეა, მერის წარმომადგენლად ვახანის ადმინისტრაციულ ერთეულში გრიგოლ სებისკვერაძე დაინიშნა. ბატონი გრიგოლი ხარაგაულში დაიბადა და გაიზარდა. სოფელი მისთვის უცხო არაა და კარგად იცის აქ არსებული ყველა პრობლემა. იგი მაქსიმალურად ცდილობს, ვახანლებს უკეთესი პირობები შეუქმნას და არ მოხდეს მოსახლეობის გადინება. მიმდინარე წელს ვახანში მეტად მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება იგეგმება. რას ფიქრობს და როგორ ესახება სოფლის განვითარება მერის წარმომადგენელს, უფრო დეტალურად, თავად გვესაუბრება.

- ,,2018 წლის პირველი მარტიდან დავინიშნე ვახანის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლად. მიხარია, რომ ისევ მომეცა შესაძლებლობა ჩემი რაიონის და ხალხის სამსახურში ვიყო. სტუდენტობიდან ვმუშაობდი სხვადასხვა სტრუქტურაში. 22 წლის ვიყავი, როცა ხარაგაულის დაცვის პოლიციის უფროსად დავინიშნე, ვხელმძღვანელობდი ასევე ნარკოტიკისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურს. ამ პროფესიამ მომცა შესაძლებლობა, კარგად გამეცნო რაიონის მოსახლეობა და მათი პრობლემები. მაგრამ მოხდა ისე, რომ 10 წელი თბილისში მომიწია ცხოვრება, თუმცა იქ დარჩენა არასოდეს მიფიქრია. ყოველთვის ვცდილობდი უკან დაბრუნებას. როდესაც ხარაგაულის მერიამ ვაკანსიები გამოაცხადა, მონაწილეობა მივიღე. ვახანის თემის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, ვინც არ მიცნობდა, სკეპტიკურად უყურებდა ჩემს კანდიდატურას, თვლიდნენ, რომ თბილისიდან ჩამოსული ადამიანისთვის უცხო იყო სოფელი, მაგრამ მალე დარწმუნდნენ, რომ მეც ისეთივე ხარაგაულელი ვარ, ისევე მტკივა და მახარებს აქ ყველაფერი, როგორც თითოეულ მათგანს.

- რას გვეტყვით ვახანის თემში განხორციელებულ პროექტებზე, რა გაკეთდა გასულ წლებში?

- ვახანის ადმინისტრაციულ ერთეულში მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა. 2017 წელს რეაბილიტაცია ჩაუტარდა სოფლის ცენტრალური გზის 3,5 კმ-იან მონაკვეთს (I ეტაპი). გასულ წელს დაიწყო სტიქიით დაზიანებული ხიდ-ბოგირების მშენებლობა, რომელიც წელს, გაზაფხულზე დასრულდა. 2018 წელშია დაგეგმილი სოფელ სერბაისის ცენტრალური გზის 1500 მ-იანი მონაკვეთის მობეტონება. უნდა დასრულდეს ვახანის ცენტრალური გზის 800 მ-იანი მონაკვეთის შეკეთება ვახანისწყლამდე (II ეტაპი). ასევე მიმდინარეობს საპროექტო სამუშაოები სტიქიით დაზიანებული გზების მონაკვეთებზე, კერძოდ დაგეგმილია: ზედა ვახანში ჭიქავებისა და ინასარიძეების დამაკავშირებელი გზის მოხრეშვა და სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია; სერბაისის ყორნალისა და ქვედა უბნების დაზიანებული მონაკვეთების რეაბილიტაცია; ზედუბნის დაზიანებული გზების რეაბილიტაცია, სანიაღვრეების მოწყობა და აღდგენა; გარსიას ჭალაში დამეწყრილი მონაკვეთის გაწმენდა-მობეტონება და გაბიონის მოწყობა. დაწყებულია სოფელში ნაგვის ბუნკერების განთავსება. ვახანის ცენტრში იგეგმება ასევე გარე განათების მოწყობა. ვფიქრობ, ინფრასტრუქტურის მოწესრიგება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სოფლის განვითარებას.

- რა არის ის ძირითადი პრობლემები, რის გამოც ხშირად მოგმართავენ ადგილობრივები?

-ყოველდღიურ რეჟიმში მაქვს ურთიერთობა ვახანის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობასთან. ვხვდები მოქალაქეებს და მთავარი და მნიშვნელოვანი, რაც მათ აწუხებთ, სოციალური პრობლემებია. მწირი ბიუჯეტის გამო ვერ ხდება ყველა მათგანის დახმარება. თუმცა ვცდილობთ, მუნიციპალიტეტის მერიაში მოქმედი სოციალური პროგრამების ფარგლებში დახმარება გავუწიოთ უკიდურესად გაჭირვებულებს. გარდა ამისა, არის სხვა პრობლემებიც. მოსაწესრიგებელია შიდა საუბნო გზები. სარეაბილიტაციოა ასევე სასმელი წყლის სათავე-ნაგებობები. მუნიციპალიტეტის მერია დაგვპირდა, რომ მოგვაწვდიან სამშენებლო მასალებს და წყლის მილებს. ვიმედოვნებ, წელს ვახანის თემში ეს პრობლემა დადებითად გადაიჭრება. ადმინისტრაციული შენობის დარბაზში განთავსებულია საჭიდაო ოთახი. ბატონ ნიკოლოზ თოფურიძისა და არჩილ მაღრაძის ძალისხმევით, ვახანელ ბავშვებს აქვთ საჭიდაო ლეიბი, მაგრამ არ აქვთ სხვა საჭირო პირობები, არადა ძალიან მოტივირებული და მიზანდასახული ახალგაზრდები გვყავს, განსაკუთრებით გოგონები აქტიურობენ. კარგი იქნება, თუ შევძლებთ მათ ხელშეწყობას. მოთხოვნაა, ასევე საბავშვო ბაღში დამატებითი ჯგუფი გაიხსნას. სამწუხაროდ, არსებულ შენობაში არაა საჭირო ფართი. მუნიციპალიტეტის მერთან მქონდა საუბარი აღნიშნულთან დაკავშირებით და მსჯელობის პროცესშია, რომ ეს თემა მოსახლეობის სასიკეთოდ გადაიჭრას.

-რას ფიქრობთ, რა არის ყველაზე აუცილებელი, ვახანის ადმინისტრაციულ ერთეულში ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის?

-მთავარი და მნიშვნელოვანი საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და მიგრაციის შეჩერებაა. სოფელში არის მნიშვნელოვანი კულტურული ძეგლები, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკთან დამაკავშირებელი ძველი გზა. კარგი იქნება, თუ ტურისტული დატვირთვა მიეცემა ამ ყველაფერს. რაც მეტი ადამიანი შემოვა და ნახავს ჩვენს ღირშესანიშნაობებს, მეტად გაძლიერდება სოფელიც. მინდა, ყველა რესურსი გამოვიყენოთ უკეთესი ხვალინდელი დღისთვის. ბევრი კარგი საქმე გაკეთდა ბოლო წლებში, მაგრამ კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი. სოფლები დაცლილია ახალგაზრდებისგან და ვინც დარჩა, მათთვის პირობების გაუმჯობესებაა საჭირო, საინტერესო და სასურველი, რომ იყოს იქ ცხოვრება. ვისურვებდი, რაც შეიძლება მეტი ადამიანი დაუბრუნდეს, სხვაგვარად რთულია გაძლიერება. უნდა შევქმნათ ის პირობები, რომ არსად წასვლის სურვილი გაუჩნდეთ ადგილობრივებს. მახარებს, რომ ნელ-ნელა ხალხი სოფლის მეურნეობის განვითარებითაც ინტერესდება. სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობაა, რომ რაც შეიძლება მეტი მეურნე, ფერმერი და მეწარმე გვყავდეს. მოლოდინი კარგი მაქვს ხვალინდელი დღის და იმედი, რომ მალე უკეთეს საქართველოში ვიცხოვრებთ!

ლელა გუგულაშვილი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე ლაშის ადმინისტრაციულ ერთეულში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაშეში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურ ფაზაში მიმდინარეობს. გზის 1544 - მეტრიან მონაკვეთზე ბეტონის საფარი იგება. პროექტი რეგიონული განვითარების ფონდიდან 279 722 ლარით ფინანსდება და სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს ,,საპოვნელა+" ასრულებს. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების თანახმად, გზის კაპიტალური შეკეთება უახლოეს მომავალში დასრულდება. მიმდინარე სამუშაოებს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე მოადგილე თემურ ჩხეიძესთან ერთად ადგილზე გაეცნო. მერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ადგილობრივი ხელისუფლებისათვის საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს და, ამ მხრივ, სამუშაოები მთელი წლის განმავლობაში ინტენსიურად გაგრძელდება. აღსანიშნავია, რომ ზედა ლაშე ერთ-ერთი კომპაქტურად დასახლებული სოფელია, რომელიც ზაფხულის განმავლობაში დამსვენებელთა სიმრავლით გამოირჩევა. ამჟამად აქ 80 ოჯახი ცხოვრობს. სოფლის გზა სრულიად ამორტიზებული იყო და მასზე გადაადგილება მოსახლეობას პრობლემებს უქმნიდა. რეაბილიტაციის ფარგლებში ორფენიანი ასფალტ-ბეტონის საფარი დაიგება და ადგილობრივები კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურით ისარგებლებენ.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტში მასშტაბური ინფრასტრუქტურული სამუშაოები განხორციელდება. საერთო ჯამში გზების სარეაბილიტაციოდ 5 820 912 ლარია გათვალისწინებული.

ეკა შავიძე

ა(ა)იპ - ების რეორგანიზაცია ორ თვეში დასრულდება

21 მაისს გამართულ ბიუროს სხდომაზე დეპუტატებმა ა(ა)იპ-ების რეორგანიზაციის შესახებ ინფორმაცია მოისმინეს. საკითხთან დაკავშირებით მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა კახა გოლუბიანმა ისაუბრა. მისივე ინფორმაციით, ა(ა)იპ-ების რეორგანიზაციის შედეგად პირველ ეტაპზე მოხდა მათი ბიუჯეტების ერთმანეთთან შერწყმა. გაერთიანებების ახლად დანიშნულ ხელმძღვანელებს მიეცათ ორთვიანი ვადა, რათა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყონ საშტატო რაოდენობის, ადმინისტრაციული და სხვა ხარჯების ოპტიმიზაცია.

საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ვარლამ ჭიპაშვილმა განაცხადა, რომ 2018 წლის ბიუჯეტის პროექტზე საკრებულოს მხრიდან იყო რიგი შენიშვნები ა(ა)იპ-ების მიმართ, თუმცა მერიიდან განგვიმარტეს, რომ დროისა და ფინანსების სიმცირის გამო ეტაპობრივად ყველას გაითვალისწინებდნენ. „დასრულდა პირველი კვარტალი, თუმცა მხოლოდ კეთილმოწყობის სამსახურისთვის იქნა შეძენილი სპეცტექნიკა. ახლა რეორგანიზაციას კიდევ ორი თვე სჭირდება, შემდეგ საარჩევნო პერიოდი დაიწყება და 2019 წლის ბიუჯეტის პროექტზე მუშაობის დროც მოვა. რეორგანიზაცია მოხდა იმის გამო, რომ ხარჯები დაზოგილიყო მაგრამ ამას ვერ ვხედავ", - აღნიშნა ჭიპაშვილმა.

როგორც კახა გოლუბიანი განმარტავს, ა(ა)იპ-ებში რეორგანიზაციის დასრულების შემდეგ გახდება ცნობილი, კონკრეტულად რა თანხები დაიზოგება და რის ხარჯზე. „ა)იპ-ების ახლად დანიშნული დირექტორები ორი თვის განმავლობაში შეისწავლიან სიტუაციას და დააკომპლექტებენ შტატებს. მე არ ვარ უფლებამოსილი პირი, განვსაზღვრო თანამშრომელთა რაოდენობა, ან მათი სახელფასო ანაზღაურება. ეს საკითხი დირექტორების კომპენტენციაა" .

განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მხოლოდ დაბალი რანგის თანამშრომლებს შეეხოთ რეორგანიზაციის პროცესი. გარდა ამისა, კიკნაძე სახელფასო ანაზღაურების პრინციპის გაურკვევლობაზე საუბრობს, მისი თქმით, თანამშრომელთა ნაწილს ანაზღაურება გაეზარდა, ნაწილს კი - შეუმცირდა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დეპუტატები ვრცლად 4 ივნისს გამართულ საკრებულოს მორიგ სხდომაზე იმსჯელებენ.

თამარ მაღრაძე

მესამე საჯარო სკოლა პროექტში „დამოუკიდებლობა თავისუფლებისათვის" ჩაერთო

ხარაგაულის მე-3 საჯარო სკოლა საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტის მიერ ინიცირებულ პროექტში -,,დამოუკიდებლობა თავისუფლებისათვის" ჩაერთო. პროექტის ფარგლებში დასკვნითი ღონისძიება ცენტრალური ბიბლიოთეკის დარბაზში მოეწყო, რომელსაც დებატებისა და განათლების ინსტიტუტის წარმომადგენლები: თინათინ ცერცვაძე და სოფო ვეფხვაძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე რუსუდან გიორგაძე, საკრებულოს დეპუტატები, მე-3 საჯარო სკოლის დირექტორი მარინე ხვედელიძე და სკოლის პედაგოგები დაესწრნენ.

ახალგაზრდებმა გაიხსენეს საუკუნის წინანდელი საქართველო, დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი გმირები, მათი ღვაწლი და თავდადება. ღონისძიებისთვის საჭირო მასალები ისტორიის მასწავლებელმა თამარ მაქაძემ მოიძია. ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა ნანა დევდარიანმა საინტერესო ინფორმაციით გაამდიდრა საღამო. ხელოვნების მასწავლებელმა დალი ლურსმანაშვილმა კი მოსწავლეებს ნახატები შეაქმნევინა, რითაც საუკუნის წინანდელი კაფე „ქიმერიონი" გააცოცხლა.

როგორც მარინე ხვედელიძე აღნიშნავს, მესამე საჯარო სკოლა საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტს ქალბატონმა მარინე ვეფხვაძემ დაამეგობრა, რის შემდეგაც აქტიურად ჩაერთნენ კლუბურ მუშაობაში. ხვედელიძის თქმით, ,,რეგიონული კლუბების/წრეების პლატფორმის " დასკვნით ღონისძიებაზე დალი ლურსმანაშვილს, ნანა ნებიერიძესა და ნაზი სახვაძეს გადაეცათ 2017 წლის საუკეთესო კლუბის ხელმძღვანელის სერტიფიკატები. გარდა ამისა, მე-3 საჯარო სკოლა მოხვდა იმ თერთმეტ საუკეთესოთა შორის, რომელთაც მიიღეს მადლობის სიგელი-სკოლის ბაზაზე საკლუბო საქმიანობის განსაკუთრებული ხელშეწყობისათვის. ქალბატონი მარინე ამბობს, რომ კლუბურმა საქმიანობამ სასკოლო ცხოვრება საინტერესო, შთამბეჭდავი და მრავალფეროვანი გახადა. მისივე განმარტებით, მსგავს აქტივობებს სკოლის დირექცია მომავალშიც დაუჭერს მხარს.

აღსანიშნავია, რომ 23 მაისს საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი პროექტის მონაწილეებს შეხვდა და აქტიურ და წარმატებულ სკოლებს სერტიფიკატები გადასცა. პირველი ადგილი ხარაგაულის მესამე საჯარო სკოლამ მოიპოვა, რომლის კლუბის ხელმძღვანელი პედაგოგი მანანა ჩაჩუა-სახვაძე გახლავთ.

ეკა შავიძე

„ჩემში წრიალებს სამსხვერპლო კრავი...“

არ მეგულება ადამიანი, რომელსაც არ ახარებდეს სისხლსავსე, წარმატებული ყოფა იმ სალოცავი ტაძრისა, რომელშიც მისი მოსწავლეობის უბედნიერესი წლებია დავანებული... რაც უფრო გვაშორებს წელთა მატება ამ ბედნიერ ხანას, მით უფრო გვემატება კრძალვა და სიყვარული იმ მოძღვართა მიმართ და იმ ადგილისადმი, სადაც მწვანე შუქი აენთო ჩვენს სამომავლო გზას. იმ უამრავ თაობათაგან მეც ერთ-ერთი ვარ, რომლის სულშიც უქრობად ანთია მზე... მზე, რომელიც ჩემთვის ხარაგაულის ამჟამინდელი მეორე საჯარო სკოლიდანაა ამობრწყინებული. დღესაც დიდი მოწიწებით შევაღებ ხოლმე ამ სულის სავანის კარს და კიდევ უფრო მეტი კრძალვით შევუყვები იმ კიბეს (ე.წ. „მასწავლებლის კიბეს“), რომლის საფეხურსაც ვერც ერთი მოსწავლე ვერ შეეხებოდა. ეს, უბრალოდ, იმ დროის დაუწერელი კანონი იყო და მას ვერვინ დაარღვევდა...

ამიტომ, ბუნებრივია, მომეტებული დოზით მქონდა კრძალვა და სიყვარული იმ დღეს, 2018 წლის 10 მაისს, როცა ამ სკოლის კედლებში მისი უდიდებულესობა - პოეზია ზეიმობდა თავის ძალმოსილებას, როცა ქართული პოეტური სიტყვის ღვთიური მადლი ეფინებოდა ირგვლივ ყოველივეს...

დიახ, ამ გამორჩეულ დღეს მეორე საჯარო სკოლა მასპინძლობდა ღირსეულ ქართველ მოღვაწეს, პოეტს, პროზაიკოსსა და პუბლიცისტს, სრულიად საქართველოში უპოპულარეს ჟურნალ „განთიადის“ მთავარ რედაქტორს, ბატონ ავთანდილ ყურაშვილს, მასპინძლობდა ხარაგაულის დიდ გულშემატკივარსა და პატრიოტს, მწერალ გიზო თავაძეს, მასპინძლობდა ქართული ლიტერატურის დიდ მოამაგეს, მწერალსა და ლიტერატურათმცოდნეს, ბატონ თენგიზ წოწონავას, რომლის ნიჭიერი კალმით შექმნილი წიგნები უადვილებს ჩვენს მოსწავლეებსა და მასწავლებლებს მშობლიური ლიტერატურის უკიდეგანო ლაბირინთებში წვდომას...

ყოვლისშემძლე ქართული სიტყვაც ვერ მეშველება ამჟამად (ბუნებრივია, ჩემი სისუსტის გამო), რომ ზუსტად შევაფასო ის რიტმი, დეკლამაციის ის უნარი, გავზომო სიმხურვალე პოეზიის იმ კოცონისა, რომელიც ააბრიალეს დარბაზში პოეტ ავთანდილ ყურაშვილის ჭეშმარიტად ეროვნული პოეზიის ქომაგებმა: ნონა მაჭავარიანმა, თამარ ჭიპაშვილმა, ლიზა ბარბაქაძემ, გუგა ბერაძემ, ლუკა გურგენიძემ, გიგა ხიჯაკაძემ, თათია შავიძემ, ვახტანგ მაღრაძემ, არმაზ შავიძემ, კესო შარიქაძემ, ანანო ლურსმანაშვილმა...

ქალბატონ ნინო ბარბაქაძეს არ უყვარს შექება და მაამებელ სიტყვათა შესხმა, მაგრამ არ ძალმიძს, ქალბატონო ნინო, ყველა გამორჩეულ ეპითეტს არ მოვუხმო ამ უმშვენიერესი ახალგაზრდების მოძღვრის დასახასიათებლად, დიახ, დღეს თქვენეული ოსტატობით, თქვენს ქურაში გამოწრთობილმა შეგირდებმა განუზომელი სითბო და სინატიფე მისცეს პოეტის თითოეულ სიტყვას, თითოეულ სტრიქონს... მინდა, მადლიერება გამოვხატო დიდი რუდუნებით მომუშავე ქალბატონ ნაზი ჭიპაშვილისა და თქვენი ღირსეული უმცროსი კოლეგის პედაგოგ რუსუდან თაბაგრის მიმართ, მთელი იმ კოლექტივისადმი, რომელიც ერთსულოვანია იმ დიდ საპასუხისმგებლო მისიის აღსრულებაში, რომლითაც საქართველოს ხვალინდელი დღე იჭედება.

ცრემლმორეული ვუსმენდი ამ მოსწავლეებს და ჩემს სულს დაეპატრონა ჩემთა მოძღვართა - ვერა ლეჟავას, ქსენია ციცქიშვილის, ელენე ბერაძის, ლევან აბაშიძის - ხატება...

მინდა, ამ წერილში კიდევ ერთხელ მივეფერო და დღეგრძელობა ვუსურვო ჩემს უსაყვარლეს ნუნუ მასწავლებელს, ქალბატონ ნუნუ თხელიძეს.

ჩემო ნუნუ მასწავლებელო!

როგორ გაიხარებდით, რომ ჯანმრთელობას მოეცა შესაძლებლობა დღეს ამ დარბაზში პოეზიის მადლით ტკბობისა, სიამაყე გაგიძლიერდებოდათ იმის განცდით, რომ, მართალია, „წინაპართაგან წავიდა ყველა და სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული“, მაგრამ ნამდვილად დაგეპატრონებოდათ მადლიერების განცდა, რომ აქ ქართულ სიტყვას კიდევ უფრო აძლიერებენ თქვენი ნაღვაწი სკოლის ამჟამინდელი მოძღვრები...

მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო მეორე საჯარო სკოლის ღირსეულ თავკაცს, კარგ პოეტსა და მოქალაქეს, ბატონ ვალერი გოგნაძეს, რომელიც 2006 წლიდან დღემდე კიდევ უფრო განამტკიცებს და ამაღლებს იმ დიდ ავტორიტეტს, რაც ტრადიციულად დაამკვიდრეს სკოლის წინა ათწლეულთა მესაჭეებმა...

მინდა, დიდი პატივისცემა გამოვხატო ჩვენი საპატიო სტუმრის, ბატონ ავთანდილ ყურაშვილის მიმართ.

ბატონო ავთანდილ!

თქვენს პიროვნულ ღირსებას, თქვენს პოეტურ კრედოს და ამქვეყნიურ მისიას, ზუსტად გამოხატავს თქვენი საოცარი ლექსის სტრიქონები:

„ჩემში წრიალებს სამსხვერპლო კრავი
და ყალყზე დგანან არაგველები,
ვწუხვარ, ამ ომში არა ვარ მკვდარი,
გადაჩეხილი არ მაქვს ვენები;

„მამულისათვის!“ - ვერ ავყევ ძახილს,
ვერ ამოვუსხლტი ამ ძაბუნ სხეულს,
ვერ შევეგებე შხამიან მახვილს
ვერაგი მტრისგან შენზე მოქნეულს;

ვწუხვარ, ამ ომში არა ვარ მკვდარი
გადაჩეხილი არ მაქვს ვენები,
არადა სულში წრიალებს კრავი
და ყალყზე დგანან არაგველები!“

ბატონო ავთანდილ, გადაუჭარბებლად გეტყვით, თქვენ ბრძანდებით ჭეშმარიტი არაგველი, ბასიანელი, დიდგორელი... თქვენ სამშობლოს ბედზე, მის ხვალინდელ დღეზე სმენაგამახვილებული მამულიშვილი ბრძანდებით, „ვაზის ძირში დარწეულ აკვანს“ სდარაჯობთ, უშურველად ანაწილებთ ღვთისგან მომადლებულ ენერგიას პოეზიაშიც, პროზაშიც, პუბლიცისტიკაშიც, თქვენს მარჯვენაში ლაღად გრძნობს თავს კალამიცა და გუთანიც, თანაბარი გრძნობით ეფერებით ქართულ სიტყვასა და ქართულ ვაზს, დაუხრელად გიჭირავთ ძმობის, მეგობრობის, კაცურკაცობის, ლამაზი ოჯახის მესაჭის წმინდა ალამი!

დიდება იმ გზას, რომელზეც მიაბიჯებთ, რომელზეც თქვენი მოღვაწეობით ვარდებს, იებსა და იასამნებს რგავთ და მართლაც საგანთიადო სიტყვით კურნავთ ქართველთა სულს... დაე, დიდხანს, კვლავ დიდხანს „წრიალებდეს თქვენში სამსხვერპლო კრავი,“ შემოღამებამდე გზა-სავალი ვრცელია... იღვაწეთ, იჭირნახულეთ, იმზევეთ და იგანთიადეთ!

* * *

მინდა, დაგლოცოთ დღევანდელი დღის გმირებო, უსაყვარლესო, ნიჭიერო გოგონებო და ბიჭუნებო! ამ ტკბილი ბუდიდან ასაფრენად საიმედოდ გიმაგრებენ ფრთებს თქვენი მუხლჩაუხრელი მასწავლებლები, ფრთებს გიმაგრებთ თქვენი დიდი მეგობარი, თქვენი სააღმზრდელო კერის მესაჭე ბატონი ვალერი გოგნაძე, რომლის ძალისხმევაც განუზომელია დღეს ღირსეულ სტუმრებთან და ჭეშმარიტ პოეზიასთან შეხვედრისა...

* * *

და მწამს, რომ ამ წმინდა კერიდან ფრთებგამაგრებული აფრინდებიან: ნონა და არმაზი, ლიზა და ვახტანგი, გუგა და კესო, გიგა და თამარი, ლუკა და თათია, ანანო, უამრავი გიორგი, ავთანდილი, ტარიელი, თინათინი, ნესტანი, ასმათი, დავითი, ნიკოლოზი, სულხანი, რომელთა სულებშიც მუდამ „იწრიალებს სამსხვერპლო კრავი...“ აფრინდებიან, რომ ქართული სიტყვის, ნიჭის, მეცნიერების კრიალა ცაზე ლაღად იფრინონ...

„დაე, იფრინონ,
იფრინონ,
იფრინონ,
ამინ!“

მერი გიორგიძე

ბიუროს სხდომაზე კულტურის სამსახურისა და კომისიის ანგარიშები მოისმინეს

21 მაისს გამართულ ბიუროს სხდომაზე დეპუტატებმა მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ განეული მუშაობის შესახებ ანგარიში მოისმინეს. საკითხი ამავე სამსახურის უფროსმა ირინე ჩხეიძემ წარმოადგინა. ქალბატონმა ირინემ დეტალურად ისაუბრა იმ აქტივობების შესახებ, რომლებიც უშუალოდ მათი ორგანიზებით ხორციელდება. იგი ასევე შეეხო მიმდინარე წელს დაგეგმილ საკითხებსა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ კულტურის სამსახურის ორგანიზებით მრავალი საინტერესო ღონისძიება მოეწყობა.

სხდომაზე დეპუტატებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ ხარაგაული კულტურული ტრადიციების მქონე მუნიციპალიტეტია.

ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე იუზა (ვალოდა) კელენჯერიძემ საპატიო ხარაგაულელის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით გაამახვილა ყურადღება. მისი თქმით, ეს ტენდენცია ყოველწლიურად უნდა დამკვიდრდეს. „2015 წელს ჩვენ მივანიჭეთ ეს ტიტული სახელოვან ხარაგაულელებს, თუმცა პროექტი შეჩერდა. კარგი იქნება, თუ მის აღდგენაზე ვიზრუნებთ,“ — განაცხადა ბატონმა იუზამ.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ვარლამ ჭიპაშვილი „ ანდრიაობის“ დღესასწაულზე გამართულ პილიგრიმულ ტურზე მერიის მხრიდან განეული დახმარებით დაინტერესდა. ირინე ჩხეიძის თქით, 11 მაისს თამაზ კიკნაძის სკვერში მოეწყო საღამო, რომელზეც ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა სტუმართა წინაშე რამდენიმე მუსიკალური ნომერი შეასრულეს. ასევე იყო ხალხური რეწვის ნიმუშების გამოფენა -გაყიდვა. რაც შეეხება ტურზე მერიის მხარდაჭერას, ჩხეიძე ამბობს, რომ მერია პილიგრიმებს ტრანსპორტირების ხარჯების დაფარვაში დაეხმარა, ხოლო მაღალი გამავლობის ავტომობილებით მომლოცველების გადაადგილება თავდაცვის სამინისტრომ უზრუნველყო.

ამავე სხდომაზე განეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარმოადგინა საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის თავმჯდომარე დავით კიკნაძემ. ბატონმა დავითმა კულტურისა და განათლების სფეროში მომუშავე ა(ა)იპ-ების პრობლემებსა და მათი მოგვარების გზებზე ისაუბრა.

საკითხის განხილვის პროცესში დეპუტატები აქტიურად ჩაერთნენ.

ვარლამ ჭიპაშვილმა იკითხა - როდის მოხდება ლეპტოპების გადაცემა ინტელექტუალურ ჩემპიონატ „ეტალონში“ გამარჯვებული მოსწავლეებისათვის.

როგორც დავით კიკნაძემ აღნიშნა, მერია აპირებს, „ეტალონში“ გამარჯვებულ პირველ სამ ადგილზე გასულ მოსწავლეს საჩუქრად ლეპტოპები გადასცეს, რისთვისაც უნდა მოხდეს ტენდერის გამოცხადება და შემდეგ მათი შესყიდვა.

ვარლამ ჭიპაშვილი ასევე დაინტერესდა, თუ რატომ შეუწყდათ დაფინანსება ანსამბლ „კახორსა“ და ,,ოდოლას".

დავით კიკნაძის განმარტებით, ანსამბლების დაფინანსების მხრივ მერიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ჯგუფები ანაზღაურებას იმ ხელშეკრულების საფუძველზე მიიღებენ, რომელიც კონკრეტულად, ღონისძიებაში მონაწილეობის შესაბამისად გაფორმდება.

აღნიშნული საკითხებზე დეპუტატები უფრო ვრცლად 4 ივნისის საკრებულოს სხომაზე იმსჯელებენ.

თამარ მაღრაძე

ხარაგაულის კინოთეატრში „წითელქუდას“ პრემიერა შედგა

16 მაისს ხარაგაულის კინოთეატრში სპექტაკლ ,,წითელქუდას“ პრემიერა შედგა. შარლ პეროს ცნობილმა ზღაპარმა არა მხოლოდ პატარები გაახარა, უფროსი თაობის მაყურებელიც ბავშვობაში დააბრუნა. ზღაპარი, რომელიც თითოეული ჩვენგანის ბავშვობასთან ასოცირდება, მეტად საინტერესო და სასიამოვნო აღმოჩნდა. „წითელქუდას“ თანამედროვე ვერსია ხარაგაულის ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრის რეჟისორმა ირინე ჩხეიძემ დადგა. მაყურებლის წინაშე კი „წითელქუდას“ როლით ყველაზე პატარა მსახიობი თამთა კიკნაძე წარდგა. მუსიკალურად და იუმორით გაფორმებულმა, სიკეთით, სიყვარულით სავსე სპექტაკლმა მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა და სრული ანშლაგით ჩაიარა. სპექტაკლში მოქმედი პირნი და შემსრულებელნი არიან: წითელქუდას დედა ლია ჭიპაშვილი; ბებია - ლუიზა კიკნაძე; მგელი - ვასილ კიკნაძე; მთხრობელი - ბათუ კიკნაძე; ექიმი - გიორგი ჭიპაშვილი; მონადირე -ნიკო წიკლაური.

აღსანიშნავია, რომ „წითელქუდას“ ზღაპარი საბავშვო ბაღის აღსაზრდელებისათვის კინოთეტრში 17 მაისს განმეორებით გაიმართა.

ეკა შავიძე

შეხვედრა ,,ეკლის გვირგვინის“ ავტორთან

საზოგადოების ინტერესი და მადლიერების გრძნობა დიდია იმ მამულიშვილთა მიმართ, რომელთაც მოწამეობრივი გზა განვლეს ქვეყნის თავისუფლებისათვის. ამ დიდ მიზანს შეეწირა საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. ამ ჭეშმარიტი ქართველის შესახებ შეიქმნა ბიოგრაფიული რომანი „ეკლის გვირგვინი,“ რომლის ავტორია ცნობილი მწერალი, მთარგმნელი, ლიტერატურათმცოდნე როსტომ ჩხეიძე. აღნიშნულ თხზულებაში მწერალმა გააერთიანა სხვადასხვა დროს შექმნილი ორი ნაწარმოები „თუ სანუთრომან დამამხოს“ და „ძველი ხიბულას საიდუმლო.“

კარგა ხანია, ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკა ახორციელებს პროექტს „შეხვედრა ცნობილ ადამიანებთან.“ ამ პროექტის ფარგლებში შეხვდა ხარაგაულის საზოგადოებას ავტორი, როსტომ ჩხეიძე. დამსწრეთ მწერალი წარუდგინა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორმა ნიკოლოზ მაჭავარიანმა. როსტომ ჩხეიძემ ვრცლად ისაუბრა დილოგია „ეკლის გვირგვინის“ შექმნის ისტორიაზე, იმ დიდ მისიაზე, რომელიც განგებამ დააკისრა თავისუფლებისათვის მებრძოლ დიდ მამულიშვილს, ზვიად გამსახურდიას. დამსწრე საზოგადოებამ მწერალთან შეხვედრით ბევრი რამ ახალი შეიტყო საქართველოს პირველი პრეზიდენტის მიერ განვლილი, მართლაც, ეკლიანი გზის შესახებ.

ძალზე საინტერესო იყო საგამომცემლო ცენტრ „ხომლი-ენის“ დირექტორ, მწერალ ელგუჯა თავბერიძის ღრმაშინაარსიანი საუბარი მოწვეული სტუმრისა და, ზოგადად, მისი ხარაგაულთან და ხარაგაულელებთან ურთიერობის შესახებ.

ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის დირექტორმა იზა ვეფხვაძემ თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა იმ საქმიან ურთიერთობას, რაც როსტომ ჩხეიძეს აკავშირებს ხარაგაულთან და ლიტერატურულ თეატრთან.

მწერალთან დიალოგში ჩაერთნენ: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე რუსუდან გიორგაძე, სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორი ნინო ვახანია, მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ირინე ჩხეიძე, დეპუტატი, ისტორიული მუზეუმის ფონდის მცველი ეკატერინე შველიძე, პედაგოგები: ზეინაბ ბუაჩიძე, მერი გიორგიძე და სხვა.

ა(ა) იპ ,,კულტურისა და ხელოვნები ცენტრის“ დირექტორმა ნიკოლოზ მაჭავარიანმა, ბატონ როსტომ ჩხეიძეს საჩუქრად წმინდა ნიკოლოზის ხატი უსახსოვრა.

გვწამს, აღნიშნული პროექტი კიდევ ბევრ საინტერესო პიროვნებასთან შეახვედრებს ხარაგაულის წიგნიერ საზოგადოებას.

თამარ მაღრაძე

საკრებულოში გენდერული საბჭოს სხდომა გაიმართა

21 მაისს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გენდერული საბჭოს (თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე) სხდომა გაიმართა. საბჭოს წევრებს ქალთა საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი ელენე რუსეცკია და ამავე ცენტრის წარმომადგენელი მამუკა გაჩეჩილაძე შეხვდნენ. გენდერული საბჭოს წევრებმა ცენტრის წარმომადგენლებთან ერთად განიხილეს საბჭოს სამოქმედო გეგმა და დასახულ მიზნებზე ისაუბრეს.

როგორც ქალბატონი ელენე აღნიშნავს, ორგანიზაციის მთავარი მიმართულება გენდერული პოლიტიკის ლოკალიზაცია და დეცენტრალიზაციის პროცესში გენდერული ასპექტების დანერგვა წარმოადგენს. ,,კანონში არის გარკვეული ცვლილებები და მუნიციპალიტეტი ვალდებულია, შექმნას გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელი ინსტიტუციები. ჩვენი მიზანია, ხარაგაულში მაქსიმალურად კარგად წავიდეს ეს პროცესი. შეიქმნას ისეთი სამოქმედო გეგმა რომელიც რეალურად აისახება მოქალაქეების საჭიროებებზე. ვფიქრობ, ჩვენი მუშაობა შედეგიანი იქნება,“ განმარტა საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელმა.

გენდერული საბჭოს მდივანი და მერის თანაშემწე გენდერულ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის საკითხებში ინგა ბერაძე შეხვედრას მეტად მნიშვნელოვანს და დროულს უწოდებს. ,,ეს იყო შეხვედრა, რომელსაც გენდერული საბჭოს წევრები მოუთმენლად ველოდით. მოგეხსენებათ, საბჭოს აქვს სამოქმედო გეგმა, რომელიც დახვეწასა და სრულყოფას საჭიროებს. მივიღეთ რეკომენდაციები, თუ რა გვჭირდება იმისთვის, რათა გეგმამ სრულყოფილი სახე მიიღოს, ქმედითი იყოს და საერთაშორისო სტანდარტებს პასუხობდეს. ჩვენი სტრატეგიის მთავარი მიმართულება იქნება გენდერული თანასწორობის მიმართ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, ამისთვის გაიწერება კონკრეტული აქტივობები. ასევე დაიგეგმება შეხვედრები თითოეულ სოფელში, გვექნება მეტი კომუნიკაცია არასამთავრობო ორგანიზაციებთან. მაქსიმალურად შევეცდებით ადგილზე გენდერული ინსტიტუტი გაძლიერდეს.“ აღნიშნა ინგა ბერაძემ.

თამარ მაღრაძე

ჰიპერტენზიის საერთაშორისო დღეს რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის ხარაგაულის თანამშრომლები შეუერთდნენ

ხარაგაულის სამედიცინო დაწესებულება ჰიპერტენზიის საერთაშორისო დღეს შეუერთდა. აქციის ფარგლებში კლინიკის მედპერსონალმა ა(ა)იპ „სათნოების სახლის“ ბენეფიციარებს სხვადასხვა სახის სამედიცინო მომსახურება გაუწია. კერძოდ, უფასო სასადილოში ადგილზე მისულ მომხმარებლებს გაესინჯათ წნევა და საჭიროების შემთხვევაში მოხდა ელექტრო კარდიოგრამის გადაღება. გარდა ამისა, ბენეფიციარებმა მიიღეს კარდიოლოგისა და თერაპევტის კონსულტაცია. აღსანიშნავია, რომ კლინიკის დირექტორის, ლაშა ელბაქიძის, ინიციატივით, მოქალაქეებს, რომელთაც არ ჰქონდათ გადაადგილების შესაძლებლობა, სამედიცინო მომსახურება სახლში გაეწიათ. ელბაქიძე მიიჩნევს, რომ მსგავსი საქველმოქმედო აქციები რეგიონის მოსახლეობისთვის ძალზე მნიშვნელოვანია და აქვე დასძენს, რომ ასეთი აქტივობები შემდგომში ფართო მასშტაბით დაიგეგმება. მისივე თქმით, თითოეული მოქალაქის ჯანმრთელობაზე ზრუნვა, განსაკუთრებით კი მათზე, ვისაც სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა არ გააჩნია, მათი პრეროგატივაა და კლინიკაში მკაცრადაა დაცული ყველა სტანდარტი და მოთხოვნა. ,,ეს ადამიანები საზოგადოების ის ფენაა, რომელსაც ნამდვილად სჭირდება ჩვენი ყურადღება. შევეცდებით, მომავალშიც დაავადების ადრეული გამოვლენისა და მისი პრევენციის მიზნით, უფასო გასინჯვები კვლავ ჩავატაროთ, საჭიროების შემთხვევაში კი პაციენტი კლინიკაში გადავიყვანოთ. როგორც მოგეხსენებათ, ხარაგაულის საავადმყოფო თანამედროვე ტექნიკითაა აღჭურვილი და ადგილობრივებს შესაძლებლობა აქვთ, რაიონიდან გაუსვლელად მიიღონ როგორც ამბულატორიული, ისე დიაგნოსტიკური სერვისების სრული სპექტრი“, -განმარტავს საავადმყოფოს დირექტორი.

დასასრულს, აქციაში ჩართულმა პაციენტებმა მადლობა გადაუხადეს კლინიკის ხელმძღვანელობას და შემდგომში მსგავსი ღონისძიების გამართვის სურვილი გამოთქვეს.

შეგახსენებთ, რომ ხარაგაულის სამედიცინო დაწესებულება შალვა ბიჭიაშვილის მმართველობის პერიოდში, ,,რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ ხელმძღვანელის ნუგზარ ბოლქვაძის ხელშეწყობით სხვადასხვა პროფილის მაღალკვალიფიციური ექიმებით დაკომპლექტდა. ფუნქციონირება დაიწყო რეანიმაციულმა განყოფილებამ. მოქალაქეებს ასევე შესაძლებლობა აქვთ სხვა ოპერაციებთან ერთად ოფთალმოლოგიური და ოტორინო-ლარინგოლოგიური ოპერაციები გაიკეთონ. როგორც ახლად დანიშნული დირექტორი ლაშა ელბაქიძე აცხადებს, საკადრო საკითხები ეტაპობრივად გვარდება და უახლოეს მომავალში კლინიკაში კიდევ ერთი ექოსკოპისტის დანიშნება.

აღსანიშნავია, რომ ხარაგაულის კლინიკა უახლესი აპარატურითაა აღჭურვილი და აქ დაცულია პაციენტის უსაფრთხოების ყველა პირობა.

ეკა შავიძე

ქალთა შესაძლებლობების განვითარება იმერეთის რეგიონში

ფონდი ,,აფხაზინტერკონტი“, საერთაშორისო ორგანიზაცია DELOIT G4G-ის მხარდაჭერით იწყებს ახალი პროექტის განხორციელებას „ქალთა შესაძლებლობების განვითარება იმერეთის რეგიონში“. 21 მაისს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიაში აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით საინფორმაციო შეხვედრა მოეწყო, რომელსაც მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე, მრჩეველი გენდერულ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის საკითხებში ინგა ბერაძე, ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლები და პროექტით დაინტერესებული ქალბატონები ესწრებოდნენ.

ფონდი ,,აფხაზინტერკონტი„ არის საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელსაც სამოქალაქო სექტორში მუშაობის 15 წლიანი გამოცდილება აქვს და მათი საქმიანობის არეალი მოიცავს: იმერეთს, რაჭა-ლეჩხუმს, ქვემო სვანეთსა და სამეგრელოს. აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში რეგიონში 800-ზე მეტმა ადამიანმა ისარგებლა ფონდის მომსახურებით და მნიშვნელოვნად შეეწყო ხელი მეცხოველეობის, კენკროვანი კულტურების წარმოების, მებოსტნეობისა და სასათბურე მეურნეობის განვითარებას. აღნიშნული ორგანიზაციის შექმნა სწორედ იმ ადამიანთა საქმისადმი ერთგულებამ განაპირობა, რომლებიც ზრუნავენ შეჭირვებულ მოსახლეობაზე და დაინტერესებული არიან მათი, ასევე იძულებით გადაადგილებული პირებისადმი თანადგომით.

როგორც შეხვედრაზე ფონდის წარმომადგენელმა ზინა დიხამინჯიამ აღნიშნა, პროექტის მიზანია მეწარმე ქალბატონების ჩართულობა და მონაწილეობა ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ნებისმიერ პირს, რომელსაც შესაბამისი ბიზნეს-იდეა აქვს, შეუძლია, აქტიურად ჩაერთოს აღნიშნულ პროექტში და გაიაროს ერთკვირიანი ტრენინგ-სემინარები ზესტაფონში, რომლის ხარჯებსაც (ტრანსპორტირება, კვება) ფონდი დააფინანსებს. გარდა ამისა, აღნიშნული ორგანიზაცია ახორციელებს ,,ყოფილი პატიმრების, პატიმართა ოჯახების, პრობაციონერების მხარდაჭერისა“ და „დაბრუნებული მიგრანტებისთვის ეფექტიანი გარემოს შექმნის“ პროგრამებს. ზინა დიხამინჯიამ მუნიციპალიტეტის მერიას აღნიშნული პროგრამებიც გააცნო.

დაინტერესებულ პირებს შეგიძლიათ მიმართოთ ფონდ აფხაზინტერკონტს მისამართზე, ქ. ქუთაისი, ნინოშვილის ქ. N 27, ტელ: (0431) 26 48 61/62.

პროექტით - „ქალთა შესაძლებლობების გაძლიერება იმერეთის რეგიონში“ -დაინტერესების შემთხვევაში დაუკავშირდით: ზინა დიხამინჯია, ტელ: 593 37 62 06.

ლელა გუგულაშვილი

ხარაგაულში ,,ეროვნული სამოსის“ დღე აღინიშნა

,,ქართული ეროვნული სამოსის დღემ“ შთამბეჭდავი მასშტაბები მიიღო. ღონისძიებამ თითქმის საქართველოს ყველა ქალაქი მოიცვა. მოქალაქეების მცირე ჯგუფის მიერ დაწესებულ თარიღს, იმაზე მეტი მხარდამჭერი აღმოაჩნდა, ვიდრე თავად იდეის ავტორები იმედოვნებდნენ.

,,ეროვნული სამოსის დღის“ აღსანიშნავ ღონისძიებებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტი ყოველ წელს უერთდება. გამონაკლისი არც ამჯერად ყოფილა. ისტორიული მუზეუმის ორგანიზებით, ტრადიციულ ქართულ სამოსში გამოწყობილმა ხარაგაულელებმა ქალაქის ქუჩებში საზეიმო მსვლელობა გამართეს, რომლებსაც გზად მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე და მერიის თანამშრომლები შეუერთდნენ.

შეგახსენებთ, რომ „ეროვნული სამოსის დღე“ საქართველოში წელს მესამედ აღინიშნა.

აქციას - „ღამე მუზეუმში“ - ხარაგაულიც შეუერთდა

27 მაისს ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმში მუზეუმების საერთაშორისო დღე აღინიშნა. „ღამე მუზეუმში“ - ასე ეწოდება აქციას, რომელსაც საფუძველი 2005 წელს ევროსაბჭოს მიერ ჩაეყარა და მას შემდეგ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მუდმივად აღინიშნება. ღონისძიების ფარგლებში, ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმში ახალგაზრდებმა მოკლედ მიმოიხილეს მსოფლიოს ცნობილი მხატვრების მოღვაწეობა და მათი შედევრები ,,გააცოცხლეს. “ კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორმა ნიკოლოზ მაჭავარიანმა და ისტორიული მუზეუმის ხელმძღვანელმა ნინო დიდიძემ გასული წლის განმავლობაში მოხალისე შემომწირველები სიგელებით დააჯილდოეს. ღონისძიებას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის სამსახურის უფროსი ირინე ჩხეიძე, წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სამლოცველო სახლის წინამძღვარი მამა ანტონი (სულთანიშვილი) და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები დაესწრნენ.

აღსანიშნავია, რომ მუზეუმების საერთაშორისო დღე საქართველოში 2010 წლიდან აღინიშნება, ხოლო აქციის „ღამე მუზეუმში“ - ტრადიციად დამკვიდრების ინიციატივით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო 2015 წელს გამოვიდა. სწორედ ამ დროიდან შეუერთდა აღნიშნულ პროექტს ხარაგაულის ისტორიული მუზეუმი.

როგორც ნინო დიდიძე აღნიშნავს, ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმში ყოველწლიურად კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები იმართება. გარდა ამისა, ტარდება ინტეგრირებული გაკვეთილები, რომელშიც მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეები მონაწილეობენ. ქალბატონმა ნინომ მუზეუმში დაცული ექსპონატების შესახებაც ისაუბრა და მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ ნიკოლოზ თოფურიძეს, ფონდის გამდიდრებასა და ორი საგამოფენო დარბაზის კეთილმოწყობაში შეტანილი წვლილისათვის. აღსანიშნავია, რომ ნიკოლოზ თოფურიძემ მუზეუმს საჩუქრად საკუთარ ოჯახში დაცული გასული საუკუნის 30-იანი წლების თბილისის მთავარი არქიტექტორის, ჟიტკოვსკის, კუთვნილი კაბინეტის სამუშაო მაგიდა გადასცა. ასევე მისი უდიდესი თანადგომითა და ხელშეწყობით გაიხსნა ხელოვნების ქურუმის, გრაფიკოს ლევან ცუცქირიძის სახელობის საგამოფენო დარბაზი, სადაც მისი უნიკალური ნაწარმოებების გვერდით წარმოდგენილია შვილის, მამუკა ცუცქირიძისა და მეგობარ მხატვართა ნამუშევრები.

გარდა ამისა, ნინო დიდიძის ინფორმაციით, გასულ წელს მუზეუმის თანამშრომლების: ეკატერინე შველიძის, ალექსანდრე ტაბატაძის, შორენა კვილაძის, მარინა დევდარიანისა და მეელუდ მესხის უშუალო ძალისხმევით მოხდა ფონდში დაცული კოლექციების გამდიდრება. ასევე კახაბერ ხიჯაკაძემ მუზეუმს საჩუქრად გადასცა მინიატურული ხის ჩონგური, რომელიც მუზეუმის ერთ-ერთი პირველი თანამშრომლის, აწ გარდაცვლილი, ახმედიონ გოგოლაძის მიერაა დამზადებული; თინათინ (ნელი) კაციტაძემ ცნობილი ლოტბარის ივანე (ბიჭიკო) აბაშიძის ნაქონი ქუდი უსახსოვრა; საღანძილეში მცხოვრებმა ნორა კიკნაძე-აბულაძემ - კერამიკული დოქები; გია ჩიკვაიძემ კი-საოჯახო ალბომში დაცული წინაპართა ძველი ფოტოები. ეს სურათები ინახავს მისი გვარის წარმომადგენელთა -დიმიტრი და არქიფო ჩიკვაიძეების - ცხოვრების ისტორიას. დიმიტრი ჩიკვაიძე პირველი მსოფლიო ომის მონაწილე, კავალერიის ოფიცერი გახლდათ, დაჯილდოებული იყო წმინდა გიორგის ორდენით. დალი შუბითიძე-სახვაძემ მუზეუმს დამსახურებული პედაგოგის აწ განსვენებულ თამარ სახვაძისა და კულტურის დამსახურებული მუშაკის, პავლე სახვაძის, ოჯახში დაცული საინტერესო მასალები, ფოტოები, ძველი დოკუმენტები შეჰმატა; სოფელ საბეში მცხოვრებმა ავთანდილ შველიძემ - თავის კარ-მიდამოში ნაპოვნი პალეონტოლოგიური და არქეოლოგიური არტეფაქტები. ასევე მნიშვნელოვანი შენაძენია მუზეუმისათვის სოფელ ხონში მცხოვრებ კონსტანტინე (ჯამბულ) ჩუბინიძის მიერ გადაცემული არქეოლოგიური მასალა, რომელიც შუა საუკუნეებით თარიღდება, კოლექციაში წარმოდგენილია რკინის ისრის პირი, ბრინჯაოს ღერაკების ფრაგმენტები, თიხის და ქვის კვირისთავები, თიხის ჭურჭლის მრავლობითი ფრაგმენტები.

ეკა შავიძე

დაბის N2 საჯარო სკოლაში საქართველოს დამოუკიდებლობის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა

დაბის N2 საჯარო სკოლაში (დირექტორი ვალერი გოგნაძე) საქართველოს დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა, რომლის ორგანიზატორები ამავე სკოლის პედაგოგები: მარინა მაღრაძე და რუსუდან თაბაგარი გახლდნენ.

მოსწავლეებმა მოკლედ მიმოიხილეს დემოკრატიული სახელმწიფოს განვლილი 100 წელი. არაჩვეულებრივი დეკლამაციით წაიკითხეს ლექსები. შეასრულეს ქართული ცეკვების პოპური და პატრიოტული სიმღერები. ღონისძიებას მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ირინე ჩხეიძე ესწრებოდა, რომელმაც მადლობა გადაუხადა ორგანიზატორებსა და ღონისძიების მონაწილეებს საოცარი პატრიოტული მუხტის მქონე საღამოს ჩატარებისათვის. როგორც სკოლის დირექტორმა ვალერი გოგნაძემ აღნიშნა, ქვეყანას, სადაც ასეთი ახალგაზრდები იზრდებიან, გადაშენება არ უწერია. ,,პირველ რიგში მოგილოცავთ დღევანდელ დღეს, დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილეს. საქართველოს ისტორიაში ორი გამორჩეული თარიღია, 1918 წლის 26 მაისი და 1991 წლის 9 აპრილი. ამ თარიღებმა განსაზღვრა ჩვენი მომავალი. ბედნიერია თაობა, რომელიც დამოუკიდებელ საქართველოში გააგრძელებს ცხოვრება-მოღვაწეობას.“ — განმარტა სკოლის დირექტორმა.

ამავე დღეს ბატონმა ვალერიმ განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში მადლობის სიგელით დააჯილდოებს, ისტორიის პედაგოგ ქალბატონ მარინა მაღრაძეს.

თამარ მაღრაძე

თორმეტწლიანი ტრადიცია N2 საჯარო სკოლაში გრძელდება

დაბის N2 საჯარო სკოლაში წლებია, თვითმმართველობის დღე აღინიშნება. როგორც სკოლის დირექტორი, ვალერი გოგნაძე, აღნიშნავს პროექტის მიზანი მომავალ თაობაში პედაგოგიური პროფესიის პოპულარიზაციაა. აღნიშნულის, ფარგლებში ყოველწლიურად, ერთი დღით, სკოლის თვითმმართველობის მიერ არჩეული მოსწავლეები იკავებენ დირექტორისა და სასწავლო ნაწილის გამგის თანამდებობას. 16 მაისს სკოლის ხელმძღვანელობა მოსწავლეებმა გადაიბარეს. დირექტორის თანამდებობა XI კლასის მოსწავლე ნონა მაჭავარიანმა დაიკავა, ხოლო სასწავლო ნაწილის გამგე X კლასელი თათია ჭიპაშვილი გახლდათ. ღონისძიების ფარგლებში მოსწავლეთა მიერ ჩატარდა საჩვენებელი გაკვეთილები: ისტორიაში (გიგა ხიჯაკაძე), ინგლისურში (ბარბარე ლურსმანაშვილი), მათემატიკაში (საბა მესხი), ქიმიაში (მარიამ ჭიპაშვილი) და სამოქალაქო განათლებაში(ლიზა ბარბაქაძე).

„როდესაც თვითმმართველობის კრებაზე სასწავლო ნაწილის გამგედ დამასახელეს ჩემთვის მოულოდნელი იყო ესოდენ დიდი პასუხისმგებლობის დაკისრება,“ - გვეუბნება X კლასის მოსწავლე თათია ჭიპაშვილი - დღევანდელი დღე ემოციებით აღსავსეა. ვფიქრობ, მასწავლებლობა მეტად რთული პროფესიაა,“ განმარტა თათია ჭიპაშვილმა.

აღსანიშნავია, რომ თვითმმართველობის დღესთან დაკავშირებით N2 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა ნინო ბარბაქაძემ და ამავე სკოლის XI კლასის მოსწავლეებმა წარმოადგინეს პროექტი „მხატვრული ნაწარმოების ინსცენირება,“ რომლის მიზანი კრეატიული აზროვნების განვითარება, ანალიტიკური ესეების შექმნა - გამოქვეყნება გახლდათ.

თამარ მაღრაძე

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595-51-98-12